საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1661
13/05/2022

1661-21-2-202205131201

შპს „სთოუნ ენერჯის“

მის: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ილორი

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8469 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილორში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო განთავსებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილორში, თუმცა მოცემული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. სამტრედიაში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მე-2 თავში მითითებულია, რომ საწარმოს ტერიტორია განთავსებულია მდ. ცხენისწყლის წყალდაცვით ზოლში. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების (სამსხვრევ–დამხარისხებელი დანადგარი, სასაწყობე მოედანი და სხვა) GPS კოორდინატები. ამასთან, დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები;
- დოკუმენტში მოცემული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სალექარის ტიპი და პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, სალექარში წარმოქმნილი შლამის შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის გადასამუშავებლად აღებული წყლის მოცულობის (საათში 150 $მ^3$/სთ; 300 000 $მ^3$/წელ) საჭიროების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღებული წყლის რაოდენობა და ჯერადობა, თვეების მიხედვით. გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჩამდინარე წყლის რაოდენობა შეადგენს 135 $მ^3$/სთ, (180 000 $მ^3$/წელ), რაც საწარმოს სამუშაო საათების გათვალისწინებით, არ შეესაბამება ჩაშვებული წყლის

წლიურ მოცულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მდ. ცხენისწყალში ჩაშვებული წყლის მოცულობა;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება ქვის დამამუშავებელი საწარმო. სკრინინგის განცხადებაში აღწერილი და შეფასებული უნდა იქნეს საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში ადგილი აქვს როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა, მოცემული არ არის დროებითი განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო